პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 122 (6177)

1978 წ. 24 ივნისი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# რეკორდები და მათი ავტორები: ლეილა წინწალაშვილი, გოჩა ჩადუნელი

თბილისის „დინამოს" სტადიონზე გრძელდება მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძალოსნობაში. პირველივე დღეს რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლემ ლეილა წინწალაშვილმა (მწვრთნელი გ. გოზალიშვილი) 800 მეტრზე რბენაში საქართველოს აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — 2.12,8. ძველი რეკორდის ავტორი იყო რ. შჩიკოვსკაია და დამყარებული იყო 1967 წელს.

რეკორდსმენი გახდა თბილისის 23-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე გოჩა ჩადუნელიც, ოღონდ იგი 15-16 წლის ჭაბუკთა შორის. თ. ბურიაკოვის და ა. ანტონოვის აღსაზრდელმა იმარჯვა სიგრძეზე ხტომაში — 711 სმ.





# პატარების დიდი ტურნირი



თბილისის სპორტულ ბაზებზე რამდენიმე დღეს გაგრძელდა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება, რომელსაც „იმედის სტარტები" ეწოდება და წელს მესამედ გაიმართა. მონაწილენი ორ ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ: IV-V და VI-VII-კლასელები ცალ-ცალკე ასპარეზობდნენ. ტურნირი სამ ეტაპად ჩატარდა.

თუ შარშან ფინალურ შეჯიბრებაში 27 რაიონის წარმომადგენლები შეგროვდნენ, ამჯერად 56 კოლექტივმა მოიყარა თავი. პროგრამაში იყო (ასაკის მიხედვით): 30 და 60 მეტრზე რბენა, 300 და 500 მეტრზე კროსი, ჩოგბურთის ბურთის ტყორცნა, ღერძზე მიზიდვა, ბაგირზე ცოცვა, სროლა, 50 მეტრზე ცურვა და მოძრავი თამაში.

წლევანდელი შედეგები ყველა ადრინდელს სჯობს. 30 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა თბილისის მე-13 სკოლის მოსწავლემ მ. ბოლოთაევამ — 3,7; სხვადასხვა სახეობაში თავი გამოიჩინეს თბილისის 131-ე სკოლის მოსწავლემ ო. ჟუკოვმა, ლ. ცანავამ (საჩხერის რაიონი, სოფ. ჭალა), გ. შიოშვილმა (გორის რაიონი). სოხუმის მე-2 სკოლის მეხუთეკლასელი გოგონა ნ. ავიძბა ყველაზე შორს (3,70 მეტრზე) გადახტა, ხოლო ბათუმელი 24-ე სკოლის VI კლასის მოსწავლის ჯ. კაკაბაძის ნატყორცნი ბურთი 50 მეტრზე დაეცა...

ორივე ასაკობრივ ჯგუფში გუნდური პირველობა თბილისის 121-ე სკოლის სპორტსმენებმა მოიგეს, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: უმცროს ასაკში — ქუთაისის მე-15 და თბილისის მე-13 სკოლების კოლექტივები, უფროს ასაკში — ქუთაისის მე-15 და ბათუმის მე-18 სკოლების გუნდები. კარგად იასპარეზეს, აგრეთვე, სოხუმის მე-2, ბათუმის 24-ე სკოლებისა და სხვათა მოსწავლეებმა.

ჯ. ქვარცხავა.

* * *

სურათებზე: სიგრძეზე ხტება სოხუმის № 2 სკოლის V კლასის მოსწავლე ნ. ავიძბა; ჩოგბურთის ბურთს ტყორცნის ბათუმის 24-ე სკოლის VI კლასის მოსწავლე ჯ. კაკაბაძე; ქუთაისის № 15 საშუალო სკოლის კოლექტივის წევრები ტაშით აჯილდოებენ თანაგუნდელის მონდომებას; 30 მეტრზე რბენის მონაწილე, საჩხერის რაიონის ჭალის სკოლის გოგონები დისტანციაზე.

ო. გელაშვილის ფოტოები.





# შვიდი სახეობის ჯამში

სოხუმში ორ დღეს მიმდინარეობდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური ასპარეზობა აკრობატიკაში, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის ნაკრები გუნდები.

დებულების თანახმად, ყოველ გუნდში 17 სპორტსმენი იყო, მათ შორის — 2 მოხტუნავე გოგონა, 2 მოხტუნავე ჭაბუკი, გოგონათა წყვილი, ვაჟთა წყვილი, შერეული წყვილი, გოგონების სამეული და ჭაბუკთა ოთხეული. სწორედ ამ შვიდ სახეობაში მონაწილეთა მიერ დაგროვილი ქულების ჯამი შეადგენდა გუნდების ჩასათვლელ ქულებს.

შეჯიბრებამ გამოავლინა საკმაოდ კარგად მომზადებული სპორტსმენები და გვიჩვენა, თუ როგორ უმუშავიათ მთელი წლის განმავლობაში მათ მწვრთნელებს. ცხადი გახდა ერთიც — ძალზე ძნელია მხოლოდ ერთმა მწვრთნელმა მოამზადოს სპორტული აკრობატიკის შვიდივე სახეობაში მონაწილე სპორტსმენები...

ამ მხრივ საქმე კარგადაა აქვთ დაყენებული თბილისის განათლების განყოფილების სპორტული აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის მწვრთნელებს. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს რუსთაველმა სპორტსმენებმაც.

სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული თბილისელმა აკრობატებმა მოიპოვეს, II ადგილზე გავიდა რუსთავის გუნდი, ხოლო III ადგილი აჭარელ სპორტსმენებს ერგოთ.

## ტექნიკური შედეგები

**ხტომები. გოგონები** (ოსტატობის პროგრამით). ნ. ხიდაშელი — 36,19 (თბილისი); ე. ეჯიბია — 35,12 (აფხაზეთი); თ. მჭედლიძე — 34,73 (სამხრეთ ოსეთი).

**გოგონათა წყვილები** (სპორტის ოსტატობის პროგრამით). ე. იუსუპოვა, ლ. ხრისტოფოროვა — 37,62 (რუსთავი); თექთუმანიძე, მ. შეროზია — 34,55 (თბილისი); მ. ბერიკაშვილი, ნ. კოხრეიძე — 31,85 (ქუთაისი).

**შერეული წყვილები** (ოსტატობის პროგრამით). გ. გოგიჩაიშვილი, ვ. მარქაროვი — 36,46 (თბილისი); ვ. ჯიოევი, ს. ბრივალისოვა — 31,85 (რუსთავი).

**გოგონათა სამეულები** (ოსტატობის პროგრამით). ნ. კაკალაშვილი, მ. ნათობაშვილი, მ. შილაკაძე — 38,29 (თბილისი); მ. ხანანაშვილი, ლ. კაკალაშვილი, ი. ჩერტკოვა — 37,15 (რუსთავი); ა. დილენიანი, ს. მარქარიანი, ლ. მარქარიანი — 32,69 (აფხაზეთი).

**ხტომები. ჭაბუკები** (ოსტატობის პროგრამით). გ. ბერიძე — 36,22 (რუსთავი); გ. კოკესტერია — 35,65 (აფხაზეთი); ზ. კილაძე — 35,52 (თბილისი);

**ვაჟთა წყვილები** (ოსტატობის პროგრამით). ს. სისოევი, ა. ზელინიანი — 36,95 (თბილისი); გ. ვჩერაშნი, ი. გაბრელიანი — 35,73 (რუსთავი); ა. შალაევი, ბ. სმირნოვი — 33,39 (აჭარა).

**ვაჟთა ოთხეულები** (ოსტატობის პროგრამით). ტ. ბერაძე, გ. გაგოშვილი, გ. აგაბიშვილი, თ. აგაბიშვილი — 35,26 (თბილისი), გ. აბროსიალაძე, ა. ვასილჩენკო, გ. ბექანიშვილი, ვ. ხარიჩკინი — 31,82 (რუსთავი); ს. შულაევი, რ. ბენდურიანი, ა. ვმუშენცევი, ნ. თევდორაძე — 34,63 (აჭარა).

**მ. ქელეხსაშვილი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს აკრობატთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.**

# ფოთის რინგზე

ფოთში ხუთ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეჯიბრება კრივში. საასპარეზოდ გამოვიდა რესპუბლიკის 15 ქალაქისა და რაიონის 126 ნორჩი სპორტსმენი. აღსანიშნავია, რომ მსგავს ტურნირში პირველად მიიღეს მონაწილეობა სამტრედიის, ზუგდიდის, გორის, ლანჩხუთის, ჭიათურისა და ტყიბულის ნაკრებმა გუნდებმა.

წონათა კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: რ. მარქარიანი (აფხაზეთი), პ. პასანოვი (რუსთავი), ზ. ტიბუა (ფოთი), გ. ჭათამაძე (ქუთაისი), ო. ყურაშვილი, გ. მაკალათია (ორივე — ფოთი), რ. ნიკოლაძე (ქუთაისი), გ. მურადოვი (თბილისი), ა. ქველითაია (აფხაზეთი), ბ. მექვაბიშვილი, ი. რევია (ორივე — ფოთი), ვ. სუხორუკოვი, ო. ლაცაბიძე (ორივე — თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი ფოთ თბილისის ნაკრები, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად ფოთისა და ქუთაისის წარმომადგენლები გავიდნენ.

უნდა აღინიშნოს იმ მოკრივეთა კარგი მომზადება, რომლებმაც მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში. ესენი არიან: ო. ლაცაბიძე, დ. ჟუჟუნიანი, გ. მურადოვი (ყველა — თბილისი), რ. ბუიუკლიანი, ჭ. გოგუა, გ. ჯალალონია (ყველა — სოხუმი), პ. გოხეჩია, ზ. ტიბუა, ო. ყურაშვილი (სამივე — ფოთი), გ. ვაშაძე (ჭიათურა), ტ. მეგრელიშვილი (ქუთაისი).

არ შეიძლება არ აღინიშნოს მსაჯების მომზადების დაბალი დონე, რამაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ამ შეჯიბრებამ. ტენდენციურობისა და არაკვალიფიციურობის გამო რესპუბლიკური კატეგორიის 9 მსაჯი (!) მოიხსნა შეჯიბრებიდან. მსაჯობის დაბალი დონე კი მნიშვნელოვნად აფერხებს რესპუბლიკაში კრივის განვითარებას.

**ლ. ანდღულაძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

# „ბურევესტნიკი" — ფინალში

როგორც ცნობილია, უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშების მესამე ეტაპში („ბ" ჯგუფი), რომელიც თბილისში ჩატარდა, გაიმარჯვეს თბილისის „ბურევესტნიკმა" და მინსკის ასკ-მ.

ქართველმა ხელბურთელებმა მინსკელებთან ერთად გათამაშების მეოთხე ეტაპზე ასარეზობა განაგრძეს ლიტვის ქალაქ ალიტუსში, სადაც მათ გარდა გამოდიოდნენ კაუნასის „გრანიტასი" და მოსკოვის ოლქის „კუნცევო".

პირველ შეხვედრაში ბურევესტნიკელებმა ანგარიშით 29:23 (16:10) დაამარცხეს „კუნცევოს" სპორტსმენები, ხოლო ვინაიდან თბილისელებს მესამე ეტაპზე მოგებული ჰქონდათ მინსკელებთან, მათი შეხვედრის შედეგს „გრანიტასთან" უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ამ მატჩში სათადარიგო შემადგენლობის მოთამაშეები გამოეყვანა. კაუნასელებმა მოიგეს თამაში ანგარიშით 34:31 (17:17).

ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკი" კაუნასის „გრანიტასთან" ერთად საკავშირო თასის გათამაშების ფინალში გავიდა. დასკვნითი ასპარეზობის გამართვა განზრახულია თბილისში 8-10 ივლისს.

**აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის**

# კიშინიოვის გაკვეთილები



**მოსკოვის** 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სსრ კავშირის ნაკრები გუნდების კანდიდატთა შერჩევას მძლეოსნობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. „სპორტის დედოფალი“ რიგ ქვეყნებში საგრძნობ აღმავლობას განიცდის და მსოფლიო რეკორდებმაც, რომლებიც ამ ათიოდე წლის წინათ უმეტესად 3-4 ქვეყნის საკუთრებას წარმოადგენდა, თანდათან გადაინაცვლა კუბაში, გდრ-ში, ახალ ზელანდიაში, ჩეხოსლოვაკიაში, კენიაში, ეთიოპიაში...

მაშასადამე, ახალი, უფრო ძლიერი, უფრო პერსპექტიული ძალების ძიებაა საჭირო. ამ მიზნის მისაღწევად საკავშირო სპორტკომიტეტის ინიციატივით მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც გატარდა. ერთ ასეთს წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდების ტრადიციული შეხვედრების აღორძინება, რომელიც კარგა ხანია აღარ გამართულა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა ტურნირს ამ დღეებში კიშინიოვი მასპინძლობდა. იგი მოლდავეთის სპორტსმენებმა დიდი უპირატესობით მოიგეს: საქართველოს ნაკრებს, რომელმაც 288 ქულა მოაგროვა, 113 ქულით გაუსწრეს.

ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალურ სტარტებს ერთი წელიწადიღა გვაშორებს, ეს მარცხი განსაკუთრებით დამაფიქრებელია და სათანადო დასკვნების გამოტანას მოითხოვს. საქართველოს სპორტკომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ ამ მიმართებით ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი რამ ჯერ კიდევ მოსაგვარებელია.

საქართველოს გუნდი მოლდავეთში მთლიანი საბრძოლო შემადგენლობით როდი გაემგზავრა. თუმცა, ტრავმირებულმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ჯ. ფხაკაძემაც სცადა ძალა და II ადგილი მოიპოვა უროს ტყორცნაში — 67,40 მ, არც სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. სანეევი მოერიდა იქ წასვლას და გაიმარჯვა — 16,24. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში მ. ალიაკრინსკაიაც (ორი წელია სარბიელზე აღარ გამოსულა) წვრთნას დაუბრუნდა და კიშინიოვში 170 სმ დაძლია, რამაც მას II ადგილი მოუტანა (ასეთივე შედეგით მესამე იყო მისი თანაგუნდელი ა. გოლოვინა. პირველობა მასპინძელმა ლ. კუზილენკოვამ მოიგო — 175 სმ).

საქართველოს ბევრმა მძლეოსანმა ამ მატჩში წლეულს პირად საუკეთესო შედეგებს მიაღწია, მაგრამ გუნდი II ადგილს მაინც ვერ ასცდა, რადგან რამდენიმე სპორტსმენმა კოლექტივის ღირსება არად ჩააგდო — გუნდს სასპარეზოდ კიშინიოვში არ წაჰყვა. რესპუბლიკის ნაკრების ხელმძღვანელებმა დღესაც არ იციან, რატომ არ ჩამოვიდა ქუთაისელი სიმაღლეზე მხტომელი ი. ჩოგოვაძე, ან როგორ მოხდა, რომ თბილისელ ი. ზენინს თვითმფრინავზე დააგვიანდა, გ. სავჩენკომ კი, რომელმაც პოლონეთში გამართულ დინამოელთა ტურნირში 212 სმ დაძლია და პირველობა მოიგო, კიშინიოვში ჩასვლა ვერ მოახერხა? მისი თანაგუნდელები ვ. ნოზაძე (ვაჟებში) და ო. ლახმინი (ჭაბუკებში) 195 სანტიმეტრზე მაღლა ვერ გადახტნენ და III ადგილებს დასჯერდნენ. სხვათა შორის, ორივე ასაკში გამარჯვებულებმა, ბაქოელმა ვ. სერედამ და კიშინიოველმა ვ. იარუშევსკიმ თითოეულმა 209 სმ გადალახა (რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე ვიტყვით, რომ ადრინდელი ამგვარი მატჩებისაგან განსხვავებით წლეულს მოზარდთა და მოზრდილთა პირველობები ცალ-ცალკე თამაშდებოდა).

გუნდს ვერც შუბის მტყორცნელი ნ. ზვიადაური გამოადგა. როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორმა რ. ტრაპაიძემ გვითხრა, ზვიადაურის მწვრთნელის ვ. შმაკოვის განცხადების მიხედვით სპორტსმენი ინტენსიურად ვარჯიშობს, მაგრამ შეჯიბრებებში ტრავმების გამო არ გამოდის.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია რესპუბლიკის ერთ-ერთი პერსპექტიული სპორტსმენი ლ. ბოლქვაძე. იგი უნივერსიტეტში სწავლობს და 110 მეტრზე თარჯრბენსა და სიგრძეზე ხტომაში ვარჯიშობს, მაგრამ საქმეს არასერიოზულად ეკიდება. მას არავინ უწევს სათანადო კონტროლს. იმავე ტრაპაიძის თქმით მწვრთნელმა ა. კონსტანტინოვმა, უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრამ და უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლამ მას ყველა პირობა უნდა შეუქმნან სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკის ნაკრების წევრთა შორის დისციპლინა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა, და თუ პირველ რიგში, ეს ნაკლი არ აღმოიფხვრა, ტექნიკური შედეგების ზრდაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

იქ, კიშინიოვში საქართველოს ათლეტებმა სპორტის ოსტატის მხოლოდ 3 და სპორტის ოსტატობის კანდიდატის 7 შედეგი მოიპოვეს. ოსტატობის ზღვარს შეწვდნენ მხოლოდ სანეევი და ბადროს მტყორცნელები ნ. ლაბაძე (56,00) და ნ. ნაზღაიძე (58,38). ამ სახეობაში ვ. საბანაძემ, რომელმაც ჭაბუკებში II ადგილი დაიკავა, პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი — 53,02 მეტრი აჩვენა. ოსტატობის კანდიდატი გახდა ტ. ბელოვაც, რომელმაც ქალთა შორის 100 მეტრზე ასპარეზობა მოიგო — 11,9.

საქართველოს მძლეოსნებმა სულ ამ მატჩში ორივე ასაკობრივ ჯგუფში II პირველი ადგილი დაიკავეს. ეს ძალიან ცოტაა.

თუ ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ მატჩში საქართველოს სპორტსმენებს მონაწილე არ ყავდათ ქალთა შორის შუბის ტყორცნაში, 3000 მეტრზე გოგონებისა და ქალების შეჯიბრებებში, 400 მეტრზე თარჯრბენში, 2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, 200 მეტრზე (ჭაბუკები), ვაჟების ესტაფეტაში 4X200 მეტრზე, ხოლო ქალთა კვარტეტის მონაწილენი 4X100 მეტრზე ესტაფეტაში წესის დარღვევისათვის შეჯიბრებიდან მოიხსნენ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი მწვრთნელების (მათი რიცხვი კი 300-ზე მეტია) საქმიანობაში ბევრი რამ წესრიგში არ არის.

განა დასანანი არაა, რომ 4 რესპუბლიკის მძლეოსანთა მატჩი ისე დამთავრდა, საქართველოს მძლეოსნებმა რესპუბლიკური რეკორდებიც კი ვერ გააუმჯობესეს? ერთადერთი, ვინც ეს შეძლო, გოგონათა შორის 1500 მეტრზე მორბენალი ლ. წიწვალაშვილი (მწვრთნელი გ. გოზალიშვილი) გახლდათ — 4.32,8.

კიშინიოვში ყველაზე უკეთესად მაინც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ი. გიგაურის აღსაზრდელებმა იასპარეზეს შუბის ტყორცნაში: ც. ბურკიშვილმა (67,90) ჭაბუკებში, ხოლო ს. გუნბამ (52,68) გოგონებში — პირველი ადგილები დაიკავეს, რ. ბაირამოვი (69,06) და ნ. ორფანოვი (68,20) ვაჟთა შორის II და III ადგილებზე გავიდნენ.

დაბალი შედეგები ჰქონდათ სიგრძეზე მხტომელ ჭაბუკებს. ვ. ჩუკანოვმა 714 სანტიმეტრით VII ადგილი დაიკავა, გ. ხალიბინმა კი გამარჯვებულ ო. სტეპანიანთან (სომხეთი), რომელიც 771 სანტიმეტრზე გადახტა, 86 სანტიმეტრით წააგო. მეექვსე ადგილზე გავიდნენ: ა. იავალოვსკი (200 მეტრზე), ა. ალიევი (400 მეტრზე), რ. ინდუაშვილი (1500 მეტრზე), ხოლო ტ. რევამ 200 მეტრზე გოგონათა შორის მეშვიდე ადგილი ძლივს მოიპოვა.

თუ მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა, ყველამ ერთად დიდ სპარტაკიადამდე დარჩენილი წელიწადი მაქსიმალურად არ გამოიყენეს, მძლეოსნებს მოსკოვის სტარტებში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე მოპოვებული შედეგების გაუმჯობესება გაუჭირდებათ.

**თ. გელაშვილი.**

# გოგონა, რომელსაც წყალი არ უყვარდა

**ჩანახატი**



**ვაკის** უბანი. წვიმა და ქოლგებს ზევით დარჩენილი ცა. გაჩერებიდან საცურაო აუზამდე ასიოდ მეტრი თავდაღმართია. ფცბად მოვარდნილი პატარა ნაკადულები წკრიალით ეშვებიან თავქვე.

აუზის შესასვლელთან შეგროვილი ყმაწვილები მხიარული ყიჟინით ამხნევებენ წვიმაში მოყოლილთ.

წყალში მხტომელებმა ეს ესაა დაამთავრეს ვარჯიში.

იქვე კარებთან ფარგასავით თხელი, სიფრიფანა გოგო დგას. ჩემს შეკითხვაზე ეღიმება, ლიანა ცოტაძე მე ვარო.

უცქერით ამ პატარა, თითქოს და არაფრით გამორჩეულ გოგოს და ოდნავ, სულ ოდნავ გეპარებათ ეჭვი. როგორღაც ძნელად თავსდება ერთად ეს სიფაქიზე და სპორტული ბრძოლა, თითქოს უფრო სხვანაირ ასოციაციებს იწვევს ჩვენს წარმოსახვაში სპორტის ოსტატის სახელი.

გოგო კი საოცრად თხელია, სიფრიფანა.

ოდნავ, სულ ოდნავ გეპარებათ ეჭვი. და მაშინ აუცილებლად უნდა ნახოთ ლიანა სახტომ კოშკზე ასული. აუცილებლად.

წლეულს მინსკში გაიმართა წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის მერცხლები“. ამ შეჯიბრებაში ლიანა ცოტაძემ თორმეტი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა შორის III ადგილი დაისაკუთრა. ლიანას მხოლოდ თვით მსოფლიო ჩემპიონმა ირინა კალინინამ და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ელენე ვაიცეხოვსკაიამ აჯობეს. ეგეც არ იყოს, საპრიზო ადგილი, საერთაშორისო შეჯიბრებაში, თავისთავად, სასიამოვნო წარმატებაა. და კიდევ, ასეთი წარმატება „გაზაფხულის მერცხლებში“, ჯერ არც ერთ ქართველ სპორტსმენს არ მოუპოვებია.

— ამ შედეგით მე და ჩემი მწვრთნელი, იური გუტიაკულოვი ძალიან გახარებულნი ვართ.

ლიანა ცოტაძე სახტომ კოშკზე ტანვარჯიშიდან ავიდა. ცოტა უცნაური კია ასეთი „ნახტომი“ სპორტის სრულიად სხვადასხვა სახეობებს შორის, მაგრამ როცა სპორტსმენი ხტომის ოსტატია, ყველაფერი თავისთავად მარტივია და გასაგები.

ლიანა ბავშვობიდან გატაცებული იყო ტანვარჯიშით. ჰქონდა გარკვეული წარმატებებიც. მაგრამ, ერთ ჩვეულებრივ ვარჯიშს დაესწრო წყალში მხტომელთა მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი იური გუტიაკულოვი და შეიძრა ლიანას ილეთები. აღმზრდელმა შესანიშნავად ამოიცნო გოგონას მონაცემები და შესაძლებლობები. ი. გუტიაკულოვის უშუალო რჩევით და თითქმის დაჟინებული მოთხოვნით, ლიანა ცოტაძე თავს ანებებს ტანვარჯიშს და „განთიადის“ წყალში მხტომელთა სექციის მუდმივი წევრი ხდება.

— იცით, გულახდილად რომ გითხრათ, არასოდეს მიფიქრია სპორტის ამ სახეობაზე, წარმოდგენაც კი არ მქონდა მისი არსებობის შესახებ და საერთოდ არც მიყვარდა წყალი.

ყველაფერი თავიდან დაიწყო. ყოველდღიური ვარჯიში, წვრთნა, ნებისყოფისა და ენერგიის დაუზოგავი ხარჯვა. მერვეკლასელი გოგონა მოსწავლეთა სპარტაკიადებში პირველ წარმატებებს აღწევს.

და თანდათან ამ პატარა გოგონას სავალ ბილიკზე მრავლდება გამარჯვებები.

პენზაში გამართულ შეჯიბრებებში, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე, ლიანა ცოტაძე II ადგილს იკავებს.

შემდეგ კუიბიშევი. III ადგილი ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში..

პატარა დიდი სპორტის ოსტატი არა. ნუ დავარქმევთ ამას სპორტულ იღბალს. ეს წვრთნის, ვარჯიშის, სურვილების იღბალია მხოლოდ.

ლიანას უჭირს საკუთარ თავზე საუბარი. იღიმება ბავშობაწაუსვლელი თვალებით და ჰყვება მეგობრებზე, მათ მიღწევებზე.

ის ხომ ჯერ კიდევ გუშინ იყო თეთრწინსაფრიანი, მეოცნებე მეათეკლასელი გოგონა.

უყვარს ხელოვნება. განსაკუთრებით მუსიკა.

— თქვენ თუ უკრავთ, ლიანა?

— ზოგჯერ, ჩემთვის.

ლიანა ახლა იხდის სასკოლო კაბას.

მერე?

მერე ფიზკულტურის ინსტიტუტი. ახალი მიზნები, მომავლის იმედები. თავდავიწყებამდე მისული ვარჯიში. 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება. წინ ლამაზი ოცნებების, იმედებისა და რწმენის დღეებია.

და ნახეთ, აუცილებლად ნახეთ სახტომ კოშკზე ასული, ეს საოცრად თხელი, სიფრიფანა გოგო.

**მზია ბედიაშვილი.**

## კრივი

**ფრუნზეში** დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ჭაბუკთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთაგან II საპრიზო ადგილები დაიკავეს გ. ფანცულაიამ (52 კგ) და გ. ნემჩენკომ (72 კგ). მძიმე წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გ. ძნელაძემ.

გ. ფანცულაია და ვ. ფარიზიანი (46 კგ) ჩაირიცხნენ „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკ მოკრივეთა საკავშირო პირველობაში.

**გ. ამირიძე.**

## ხელბურთი

**დამთავრდა** სოფლის სპორტსმენთა III საზაფხულო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთში. ვაჟთა შორის I ადგილი აფხაზეთის ნაკრებმა მოიპოვა, II — თბილისის ზოოვეტერინალური ინსტიტუტის გუნდმა, III ადგილზე კი სამტრედიელი ხელბურთელები გავიდნენ.

ქალთა შორის შეჯიბრებაში თბილისის ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ნაკრებმა გაიმარჯვა, II-III ადგილები კი შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის გუნდებმა გაინაწილეს.

**ი. ნიკოლეიშვილი.**



## მშვილდოსნობა

**აჭარის** სოფლის სპორტსმენთა შორის მშვილდოსნობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი. „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები ძირითადად აქაური სპორტსმენებით კომპლექტდება და ხშირად რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებშიც აღწევენ წარმატებას. ახლა აჭარის სპორტსმენები და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისას სტადიონი გულმოდგინედ ემზადებიან საკავშირო თასის გათამაშების მასპინძლობისთვის.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სპორტის ოსტატები თ. ტოროტაძე და ლ. ტეპოროვა ვარჯიშის დროს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმი).

# „როცა ტურისტი ვერ ტურისტობს“

**წერილების კვალდაკვალ**

**ამ სათაურით** ჩვენი გაზეთის 20 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ლაპარაკი იყო რესპუბლიკის ტურისტული სპორტსაქონლით მომარაგებაში მაღაზიების როლის შესახებ. აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთ მაღაზიას არ გააჩნია სათანადო რაოდენობის ტურისტული საქონელი.

როგორც გაერთიანება „სპორტსაქონლის“ დირექტორი ჯ. ჯალიაშვილი გვატყობინებს, „სპორტსაქონლის“ დირექციამ იმსჯელა გაზეთში დაბეჭდილ სიგნალზე და დასახა ღონისძიებები: გაერთიანების სავაჭრო განყოფილებასა და სპორტსაქონლით მოვაჭრე მაღაზიების ხელმძღვანელებს მიეცათ მითითება სასწრაფოდ შეავსონ მაღაზიები ხარისხოვანი ტურისტული და სპორტსაქონლით. თბილისში წერილობითუმად მოვაჭრე მაღაზია № 103 უფროს გამყიდველს ალ. ლაბაძეს მიეთითა შემდგომში მომხმარებლისადმი მეტი ყურადღება გამოიჩინოს.

გაერთიანების დირექციამ თბილისის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომს მიმართა თხოვნით დედაქალაქის რაიონებში გამოყონ შესაფერისი სათავსოები, სადაც შესაძლებელი იქნება დიდგაბარიტიანი საქონლით ვაჭრობის სპეციალიზებული მაღაზიების გახსნა, რაც მომხმარებელთა მომსახურების დონეს გააუმჯობესებს.

მსოფლიოს XI ჩემპიონატი

# ჩემპიონი შეიცვალა

მსოფლიოს ეყოლება ახალი ჩემპიონი ფეხბურთში. ეს იქნება ან ჰოლანდიის ან არგენტინის ნაკრები გუნდი, რომლებიც ადრე არ ფლობდნენ ამ მაღალ ტიტულს.

„ა“ ჯგუფში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩს ბუენოს-აირესში ჰოლანდიისა და იტალიის გუნდებს შორის. იტალიელებმა ამ ჩემპიონატზე ნამდვილი ფურორი მოახდინეს, უმაღლესი კლასის თამაში აჩვენეს და თითქოს ამჯერადაც ახლოს იყვნენ მიზანთან, როცა დასაწყისში რამდენიმე ძალზე სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან. ერთ-ერთ ამ სიტუაციაში ჰოლანდიელთა მცველმა ბრანდტსმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი.

ჰოლანდიელებმა სცადეს მდგომარეობის გამოსწორება კოლექტიური მანევრებით, მაგრამ მათი იერიშები იფუშებოდა, ჯერ კიდევ მინდვრის შუაგულში. გუნდის მთავარი დისპეტჩერი ნეესკენსი ხშირად ფერხდებოდა ცენტრალურ ზონაში იტალიელთა ერთ-ერთი ძლიერესი თავდამსხმელის როსის წინააღმდეგ ბრძოლისას და ვერ ასწრებდა წინა ხაზზე გასვლას.

მეორე ტაიმში ნეესკენსმა წინ გადაინაცვლა, როსი „ჩაიბარა“ იანსენმა და ჰოლანდიელთა თამაშიც თანდათან გაიმართა. ისინი სწრაფად გადიოდნენ ფლანგებიდან, ზუსტად აწვდიდნენ ცენტრში, კოლექტიურად იბრძოდნენ თითოეული ბურთისთვის და ხშირად ურტყამდნენ კარში. მათ გამარჯვება სწორედ შორი დისტანციიდან შესრულებულმა დარტყმებმა მოუტანა. ჯერ ბრანდტსმა გამოისყიდა თავისი „დანაშაული“ და გაქვითა გოლი, ხოლო შემდეგ ჰაანმა გაიტანა დაახლოებით 35-40 მეტრის მანძილიდან გადამწყვეტი ბურთი მეკარე ძოფის კარში.

— ბედნიერი ვართ, რომ ფინალში გავედით. — განაცხადა ჰოლანდიელთა მწვრთნელმა ე. ჰაპელმა. — ჩვენთვის სულ ერთია ვის შევხვდებით ფინალში, ყველა შემთხვევაში უნდა ვიბრძოლოთ თავგამოდებით, მაქსიმალური თავდადებით. იტალიელებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს არგენტინაში, მაგრამ ისინი დაღლილი გამოიყურებოდნენ ავსტრიელებთან და ჩვენთან — მეორე ტაიმში.

— პირველ ნახევარში ჩვენ უნდა გაგვეტანა არა ერთი, არამედ ორი ან სამი ბურთი. — აღნიშნა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ე. ბეარზოტმა, — ამას გარდა, ვალდებული ვიყავით გაგვეძლიერებინა იერიშები შესვენების შემდეგ. მაგრამ ფეხბურთელები, სამწუხაროდ, შეეცადნენ დაეცვათ თავიანთი ერთადერთი გოლი და ინიციატივა მეტოქეს გადააბარეს.

ჰოლანდიელთა მეტოქე ფინალურ მატჩში გამოვლინდა არგენტინისა და პერუს გუნდების შეხვედრაში, რომელიც როსარიოში შედგა. არგენტინელებს აუცილებლად ესაჭიროებოდათ გამარჯვება 4 ბურთის უპირატესობით, მაშინ ისინი ბრაზილიელთა მსგავსად 5 ქულას აგროვებდნენ, მაგრამ წინ გადიოდნენ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით. მასპინძლებმა გეგმა გადამეტებით შეასრულეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0. 2-2 ბურთი გაიტანეს კემპესმა და ლუკემ, თითო — ტარანტინიმ და ჰაუსმანმა. არგენტინელები მინდორზე გამოვიდნენ მაშინ, როცა უკვე იცოდნენ რომ ბრაზილიელებმა პოლონეთის ნაკრებს მოუგეს ანგარიშით 3:1.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი გუნდი გაიტანდა იმდენ ბურთს, რამდენიც საჭირო იყო ფინალში გასასვლელად. — განაცხადა არგენტინელთა მწვრთნელმა ლ. მენოტიმ. — ამაში დარწმუნებული ვიყავი არა მარტო მე, არამედ მოთამაშეებიც. ჩვენ დიდ ხანს ვემზადებოდით ამ ჩემპიონატისთვის და გადამწყვეტ მომენტში არაფერს დავთმობდით ფინალში გასასვლელად. მატჩის დასაწყისი ჩვენთვის ძნელი იყო, მაგრამ მერე ველარაფერი გაგვაჩერებდა. ჩემი აზრით, არგენტინის ნაკრები ყოველ მატჩში სულ უფრო უკეთესად თამაშობს, მაგრამ ჰოლანდია ძალზე ძნელი მეტოქეა, მაღალი რეპუტაცია გააჩნია, მოთამაშეები საუცხოოდ არიან მომზადებული ფიზიკურად, ავლენენ გუნდური თამაშის ბრწყინვალე დემონსტრაციას.

მესამე ადგილისთვის ითამაშებენ ბრაზილია და იტალია. ბრაზილიელებმა გაჭირვებით დაძლიეს პოლონეთის გუნდის წინააღმდეგობა. ამ მატჩში ანგარიში გახსნა ბრაზილიელმა ნელინიომ, საპასუხო ბურთი კი გაიტანა ლატომ. ამის შემდეგ პოლონელებმა ვერ გამოიყენეს დაწინაურების რამდენიმე საუკეთესო შესაძლებლობა. შემდეგ ინიციატივა ბრაზილიელებმა აიღეს ხელთ და რობერტომ ზედიზედ ორჯერ აიღო პოლონელთა კარი. საინტერესოა, რომ ბრაზილიის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელსაც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაუგია არც ერთი მატჩი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მარცხი განიცადა ავსტრიის გუნდთან შეხვედრაში — 2:3. ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა ევროპული ფეხბურთის საუკეთესო სნაიპერმა კრანკლმა და კიდევ ერთი გოლი საკუთარ კარში — გფრ-ის ნაკრების კაპიტანმა ფოგტსმა, რომელმაც განაცხადა, რომ ახალი სეზონიდან ითამაშებს მხოლოდ თავის კლუბში. დამარცხებულთაგან თავი გამოიჩინეს რუმენიგემ და ჰოლცენბაინმა. ეს იყო ბოლო მატჩი, სადაც ჰ. შიონი ხელმძღვანელობდა გფრ-ის ნაკრებს.

ამრიგად, 25 ივნისს ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტის“ სტადიონზე შედგება XI მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი. ორივე ფინალისტი — არგენტინაც და ჰოლანდიაც, ფინალში ნათამაშევი არიან თითოჯერ. არგენტინელებმა 1930 წელს ურუგვაიში წააგეს მასპინძლებთან — 2:4, ხოლო ჰოლანდიელებმა — 4 წლის წინ გფრ-ში ასევე მასპინძლებთან — 1:2. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში 4 შემთხვევა იყო, როცა ფინალში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ამას გარდა, სტატისტიკა აღნიშნავს, რომ 7 შემთხვევაში იმარჯვებდა გუნდი, რომელიც პირველი ღებულობდა ბურთს საკუთარ კარში.

„ა“ ჯგუფი

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 2 | 1 | 0 | 9—4 | 5 |
| 2. იტალია | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| 3. გფრ | 0 | 2 | 1 | 4—5 | 2 |
| 4. ავსტრია | 1 | 0 | 2 | 4—8 | 2 |

„ბ“ ჯგუფი

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 2 | 1 | 0 | 8—0 | 5 |
| 2. ბრაზილია | 2 | 1 | 0 | 6—1 | 5 |
| 3. პოლონეთი | 1 | 0 | 2 | 2—5 | 2 |
| 4. პერუ | 0 | 0 | 0 | 0—10 | 0 |

* * *



სურათზე: „რივერ პლეიტის“ სტადიონი ბუენოს-აირესში, სადაც 25 ივნისს შედგება მსოფლიოს XI ჩემპიონატის ფინალური მატჩი ფეხბურთში.

ფეხბურთი

# დაგვრჩა ერთად-ერთი მიზანი

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 21 ივნისი.**

**„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:2 (1:0).**

**„დინამო“: გოგია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ვ. მაჩაიძე (კოპალეიშვილი, ჩელებაძე), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.**

**„ლოკომოტივი“: სამოხინი, ხუდიევი, კალაიჩევი (ოვჩინიკოვი), კამზულინი, სოლოვიოვი (შელეხტი), რიახოვსკი, დანილენკო, ილინი, შევჩუკი, ავერიანოვი, გაზაევი.**

**მსაჯი: კ. ვიხროვი (კიევი).**

**გოლები გაიტანეს გუცაევმა (მე-5 წ.), ქორიძემ (72-ე), შევჩუკმა (74-ე) და გაზაევმა (84-ე).**

მსაჯის სასტვენის ხმა. მატჩი დასრულდა. გულშემატკივრის სახეს, თხუთმეტიოდე წუთის წინ სილაღის დაღი რომ ედო, ველარაფერი გახსნის, ველარაფერი მოალბობს. მატჩი დასრულდა, მოვლენათა უკან დაბრუნება შეუძლებელია. სამდურავის, საყვედურის, სიმწრის სიტყვები გზას თხოულობს, გამოსავალს ეძებს, მაგრამ რა... საკუთარ გულს თუ შეახვედრებ.

არადა, მატჩის უვერტიურა არა და არ იძლეოდა იმის უფლებას, რომ კაცს ამგვარად დათალხულ ფინალზე ეფიქრა. „დინამომ“ იმ ერთბურთიან პასივს უკვე მეხუთე წუთზე მოუღო ბოლო და მერეც, თვით თამაშის მიმდინარეობა მაინცდამაინც ბევრ სანერვიულოს არ სტოვებდა. ყოველ შემთხვევაში, პირველი ოცდაათი წუთის მანძილზე თბილისელებს რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა.

„ლოკომოტივმა“, ისევე როგორც მოსკოვის მატჩში, თამაში ფრთხილად დაიწყო. ხუდიევმა, კალაიჩევმა და კამზულინმა პირველყოვლისა, იმისთვის იზრუნეს, რომ დაცვის ცენტრში ყველაფერი რიგზე ყოფილიყო. შეძლებისდაგვარად შეეცადნენ შენგელიას უვნებელყოფასაც. სხვებს საგანგებო მეურვეები არ ჰყოლიათ. არ ჰყოლია ყიფიანსაც და ამან მეტი თავისუფლება და უთუოდ მეტი აზრიც შესძინა რკინიგზელთა მოქმედებას. თქმა არ უნდა, მოსკოვის მატჩთან შედარებით (იქ ხუდიევი გვერდიდან არ მოსცილებია დავითს) თბილისელთა ლიდერს აქტიური თამაშისთვის მეტი გასაქანი ჰქონდა.

ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად შეხვედრის 74-ე წუთამდე, გარეგნულად მაინც, ყველაფერი რიგზე იყო. გუცაევის გოლს კიდევ ერთი მოჰყვა — შენგელიას წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო ძალზე სადად, ოსტატურად გაითამაშეს დინამოელებმა (მ. მაჩაიძე, ქორიძე).

მერე კი... სრულებითაც არ ვაპირებ იმის თქმას, რომ „დინამომ“ მოთავებულად ჩათვალა საქმე. და ეს იქცა ყველაფრის მიზეზად. რასაკვირველია, იმ ორი საპასუხო გოლისთვის შეიძლება მეკარეც დაადანაშაულო, საყვედური უთხრა მცველებსაც, მთელ კოლექტივსაც, წამით რომ დაივიწყა სიფრთხილე და ამოდენა ნაშრომი წყალში ჩაყარა, მაგრამ უთხარი — არ უთხარი, საყვედური არაფერს შველის — უკვე უტყუარი ფაქტია, რომ ჩვენი გუნდი გამოეთიშა თასისთვის ბრძოლას.

თბილისის „დინამომ“ უდროო დროს წაიფორხილა, მაგრამ არც კოლექტივისთვის და არც ფეხბურთის მოყვარულთათვის ყველაფერი არ დამთავრებულა. საფიქრალიცა და გასაკეთებელიც ჯერ ბევრია.

თავს უფლებას მივცემ და ამ, ჩვენთვის ერთობ მარცხიანი სამზერიდან მკითხველთან ერთად თვალს გადავავლებ სეზონის დაწყებიდან გამოვლილ გზას.

რა თქმა უნდა, ხდება როცა გუნდს უმართლებს, ანდა ბედი არ სწყალობს. მაგრამ თუ საუბარია საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდზე, ყველა ეს გამართლება — არგამართლება ერთიმეორეს აბათილებს და დაგროვებული ქულებისა თუ გათამაშების ცხრილში მოპოვებული ადგილის მიხედვით არცთუ ძნელია კოლექტივის ძალზე წარმოდგენის შექმნა.

რეალური ვითარება და შესაბამისად, წარმოდგენა კი ასეთია: გუნდი გათამაშების ლიდერია. ჩემპიონატის ამ სამთვიან გზაზე თბილისის „დინამო“ დანარჩენებზე ძლიერი იყო — იმას ხომ ვერ ვიტყვით, რომ ქულები მართლაც ციდან ცვივა! ეს ყველაფერი ერთმა გარემოებამ მათქმევინა: კულისებში, ჩვეულებრივ საუბარში და ხანდახან პრესაშიც ჰი ხან შეფარულად, ხანაც აშკარად გამოითქმის აზრი, რომ თბილისელთა ლიდერობა შემთხვევითი მოვლენაა და რაკილა ამის დასაბუთება ცოტა არ იყოს ძნელია, იქვე ამატებენ სიტყვას „დროებითი“. არავინ არაფრისგან არ არის დაზღვეული და თუ ისე მოხდა, რომ სეზონის ბოლოსთვის ჩვენი გუნდი საპრიზო ადგილის მიღმა აღმოჩნდება, მაშინ ალარც საკამათო იქნება, ალარც სალაპარაკო. დღევანდელი ვითარება კი არავითარ „მაგრამის“ და „თუსთვის“ ადგილს არ სტოვებს. მით უმეტეს, რომ თამაშის ხარისხის მიხედვით ლიდერობისთვის შესაფერი სხვა გუნდი არ ჩანს, ყველას საკმაოდ მოეძებნება წუნი და გინდა, არ გინდა, უნდა დაყაბულდე იმას, ვისაც ფაქტიურადაც და სამართლიანადაც მოწინავე პოზიცია უჭირავს.

ისე ნუ გამიგებენ, თითქოს ჩვენს ფეხბურთელებს გუნდრუკს ვუკმევდე ანდა მათ საერთაშორისო სტანდარტებს ვუთანაბრებდე. ვამბობ და ისიც მხოლოდ იმას, რომ საბჭოთა ფეხბურთში თბილისის „დინამო“ ჯერჯერობით მაინც საუკეთესოა. კარგია ეს თუ ცუდი, თვითონ მკითხველმა განსაჯოს.

ორიოდე სიტყვაც ბოლო შეხვედრებზე. ივნისში ნათამაშევი 5 მატჩიდან „დინამომ“ ორი წააგო, ორი ფრედ დაამთავრა და მხოლოდ ერთში გაიმარჯვა. შემთხვევითობაზე, უიღბლობაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ზედმეტია. შეიძლება პირდაპირ ითქვას: ამ მონაკვეთში გუნდი საკმაოდ სუსტად თამაშობდა. თუმცა, არა ერთხელ და ორჯერ ნათქვამი მიზეზების გამო ეს მოსალოდნელიც იყო — ვერა და ვერ მოხერხდა ძირითადი შემადგენლობის თავმოყრა. ძალზე ხშირი იყო ტრავმები, რასაც დიღმის ბაზის უვარგისი მინდორიც უწყობდა ხელს.

ახლა ყველასათვის ნათელია, რომ თბილისელებს ერთადერთი კონკრეტული მიზანიღა დარჩათ — ჩემპიონატის ლიდერის პოზიციის შენარჩუნება და განმტკიცება. ეს არც ისე იოლია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ სხვა ყველანაირი შედეგი არ დააკმაყოფილებს არც ფეხბურთელებს, არც სპეციალისტებს და რაც მთავარია, გაწბილებულს დატოვებს გუნდის ათიათასობით ქომაგს.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ესეც ვთქვათ: როცა „დინამოს“ შარშანდელ საერთო წარმატებებს აღვნუსხავდით, სხვა მონაცემებთან ერთად მუდამ ვიშველიებდით მაყურებლის ფაქტორსაც. მაყურებელი გუნდს მართლაც მრავლად ჰყავდა, ყველაზე ბევრიც ჰყავდა და ეს სიამაყესთან ერთად იმის რწმენასაც გვიმტკიცებდა, რომ გუნდი ნამდვილად კარგად თამაშობდა.

ახლა საქმე ისე მიდის, რომ ის ძველი ვითარება კეთილ მოგონებადღა შეიძლება დაგვრჩეს.

რა თქმა უნდა, ძალზე იოლია ყველაფერი არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატს გადავაბრალოთ, ცუდ ამინდსაც გავუწიოთ ანგარიში, მაგრამ „დინამოს“ სტადიონის ცარიელმა სკამებმა მაინც ის სეისმოგრაფი მომაგონა, უშეცდომოდ, ზუსტად რომ აღნუსხავს ხოლმე შორეულ, სულ უმნიშვნელო უსიამო ძვრებსაც კი.

ი. ბერიაშვილი.

## სსრ კავშირის თასზე

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გამეორებითი მეოთხედფინალური მატჩები.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მოსკოვის გუნდების — „ტორპედოსა“ და „დინამოს“ შეხვედრა. მისი ბედი გადაწყვიტა ხრაბროსტინის მიერ დინამოელთა კარში 27-ე წუთზე გატანილმა გოლმა. აღსანიშნავია, რომ ტორპედოელებს პირველი მატჩი წაგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:2, მაგრამ ისინი მაშინ სტუმრების როლში გამოდიოდნენ და 2 მატჩის ჯამში წარმატება მათ ხვდათ წილად.

ბაქოს „ნეფთჩიმ“ თავის მინდორზე მარცხი განიცადა დონეცკის „შახტიორთან“ შეხვედრაში — 0:2 პირველი გოლი მე-9 წუთზე გაიტანა პიანიხმა, ხოლო მეორე, მატჩის ბოლო წუთზე, რეზნიკმა. ამ გუნდების პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

პირველი მეოთხედფინალური მატჩი კიევის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის კიევში მოგებული ჰქონდათ დინამოელებს — 3:2. განმეორებითი თამაში ლენინგრადში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამრიგად, ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: „შახტიორი“ — „ლოკომოტივი“. „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“.

## მეორე ლიგა

**21 ივნისს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ ამ შეხვედრათა შესახებ:

### „გურია“ (ლანჩხუთი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:1

ლანჩხუთელ ფეხბურთელთა მატჩს ზონის ლიდერთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თამაშს უკიდურესად არახელსაყრელი ამინდი დაემთხვა, კოკისპირულად წვიმდა.

მასპინძლებმა დასაწყისიდანვე შეძლეს თავს მოეხვიათ მეტოქისათვის სასურველი თამაში და რამდენიმე უშედეგოდ დამთავრებული იერიშის შემდეგ პირველ წარმატებასაც მიაღწიეს: ნემსაძემ 34-ე წუთზე ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. გავიდა რამდენიმე წუთი და „შირაკს“ ხელმეორედ მოუხდა თამაშის დაწყება ცენტრიდან. გატანილი გოლის ავტორი იყო ხოფერია.

შესვენების შემდეგ ლანჩხუთელები კვლავ ფლობდნენ უპირატესობას, რასაც ჩხაიძის მიერ გატანილი მესამე გოლი მოჰყვა. სტუმრებმა მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

ს. ჟორდანია.

### „დინამო“ (ბათუმი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:0

მეტოქეებს აღნიშნული ტურისთვის თანაბარი მდგომარეობა ჰქონდათ გათამაშების ცხრილში, ამიტომ მატჩის შედეგით დაინტერესებული იყო ორივე მხარე.

ბათუმელებს დაწინაურება შეეძლოთ ჯერ კიდევ შესვენებამდე, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი არ იქნა გამოყენებული, ამას გარდა, კარგად ითამაშა სტუდენტების მეკარე გალიანმა.

მეორე ტაიმში კვლავ დიდი დატვირთვით თამაშობდნენ გალიანი და მისი მცველები, ამიტომ ბათუმელებს მხოლოდ 65-ე წუთზე მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. კომბინაცია წამოიწყო სარიშვილმა, გააგრძელა ბეჟანიძემ და დაამთავრა ცაკალაძემ — 1:0.

მასპინძელთა გამარჯვება განამტკიცა მენაბდემ — 2:0. ეს ბათუმის „დინამოს“ მესამე გამარჯვებაა ზედიზედ.

ო. მურვანიძე.

### „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 3:0

გათამაშების დასაწყისში მოპოვებული წამყვანი პოზიციები სამტრედიის „ლოკომოტივმა“ თანდათან დათმო.

„არაზთან“ შეხვედრაში სამტრედიელებმა უნაყოფო იერიშებში ჩაატარეს პირველი ტაიმი და ვერ გაიტანეს ბურთი.

ყველა გოლი გატანილი იქნა მეორე ტაიმში და აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩახუნაშვილის მონდომებული, ენერგიული თამაში. მან 49-ე წუთზე შორი მანძილიდან დაარტყა, მეკარე ბაბაევს ხელიდან გაუვარდა ბურთი, რომელსაც დროზე მიუსწრო ქორიძემ — 1:0.

62-ე წუთზე ჩახუნაშვილმა მოაწოდა კუთხური, ბურთი არ შეხებია არავის და პირდაპირ ჩაეშვა კარის შორეულ კუთხეში — 2:0.

## ფეხბურთი

შემდგომში ჩახუნაშვილმა კიდევ ერთხელ ისახელა თავი, გარღვევაზე გაიყვანა თვალსაჩინო და ნახიჩევანელთა კარი მესამედ იქნა აღებული.

ა. სირაძე.

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 1:1

ზონის ერთ-ერთ ლიდერთან მატჩი ზუგდიდელებმა შეტევით დაიწყეს, რამდენიმეჯერ აიძულეს მეკარე ბალდასარიანი აეღო ძნელი ბურთები, მერე კი, 22-ე წუთზე, გუნიამ გახსნა ანგარიში.

ასეთ დასაწყისს ასეთივე გაგრძელება ესაჭიროებოდა, მაგრამ დინამოელებმა ეს ვერ შეძლეს, კვლავ დაკარგეს რამდენიმე მომენტი, ხოლო 30-ე წუთზე საშუალება მისცეს აროიანს გაექვითა გოლი.

მეორე ტაიმი ზუგდიდელების უფერული თამაშით აღინიშნა. საბოლოოდ ფრე — 1:1.

გ. ალშიბაია.

### „დილა“ (გორი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 3:0

წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ „დილის“ ფეხბურთელებს მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლათ. ეს ასეც მოხდა, მე-10 წუთზე ქერდიკაშვილმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. 2 წუთის მერე მანვე მეორედ აიღო „ხაზარის“ კარი.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა მკვეთრად გააძლიერეს თამაში, მაგრამ მასპინძლებმა წარმატებით გაართვეს თავი სიძნელეებს, ხოლო მე-80 წუთზე იმავე ქერდიკაშვილმა მესამე გოლი გაიტანა.

ი. თევდორაშვილი.

#### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „დინამო (სოხუმი) — „კოტაიკი“ აბოვიანი) 4:2, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 2:2, „ზვეზდა“ (პერმი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 3:0, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 4:0, „დინამო“ (კიროვი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 3:2, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „გასტელო“ (უფა) 2:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 3:0.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შირაკი“ | 20 | 10 | 7 | 3 | 40—20 | 27 |
| „ზვეზდა“ | 20 | 11 | 4 | 5 | 28—11 | 26 |
| „კოტაიკი“ | 20 | 11 | 3 | 6 | 26—23 | 25 |
| „გურია“ | 20 | 10 | 5 | 5 | 31—22 | 25 |
| „ყარაბახი“ | 20 | 9 | 6 | 5 | 25—14 | 24 |
| „დინამო“ ბ. | 20 | 9 | 5 | 6 | 22—16 | 23 |
| „ლოკომოტ.“ | 20 | 9 | 4 | 7 | 32—30 | 22 |
| „დინამო“ ს. | 20 | 8 | 6 | 6 | 30—24 | 22 |
| „დინამო“ ზ. | 20 | 7 | 8 | 5 | 24—16 | 22 |
| „ტურბინა“ | 20 | 9 | 3 | 8 | 22—29 | 21 |
| ფიზკ. ინსტ. | 20 | 7 | 7 | 6 | 19—18 | 21 |
| „ტორპედო“ | 20 | 7 | 6 | 7 | 19—16 | 20 |
| „ზენიტი“ | 20 | 6 | 8 | 6 | 21—19 | 20 |
| „ავტომობ.“ | 20 | 9 | 1 | 10 | 22—30 | 19 |
| „დრუჟბა“ | 20 | 8 | 3 | 9 | 23—20 | 19 |
| „რუბინი“ | 20 | 6 | 6 | 8 | 22—23 | 18 |
| „დილა“ | 20 | 4 | 10 | 6 | 21—19 | 18 |
| „პროგრესი“ | 20 | 8 | 1 | 11 | 19—31 | 17 |
| „ურალეცი“ | 20 | 7 | 3 | 10 | 26—30 | 17 |
| „გასტელო“ | 20 | 7 | 3 | 10 | 19—26 | 17 |
| „დინამო“ კრ. | 20 | 7 | 3 | 10 | 18—22 | 17 |
| „გაზოვიკი“ | 20 | 6 | 5 | 9 | 21—23 | 17 |
| „ხაზარი“ | 20 | 6 | 4 | 10 | 17—29 | 16 |
| „არაზი“ | 20 | 2 | 3 | 15 | 13—49 | 7 |

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „სქური“ (წალენჯიხა) 3:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).**

58-ე წუთისთვის სტუდენტები წინ იყვნენ ანგარიშით 3:0 (წერეთელი, ბოლქვაძე, შოთაძე). ამის შემდეგ სტუმრებმა შეძლეს 2 საპასუხო ბურთის გატანა. ორივე გოლის ავტორია ციკოლია.

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:2. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

ფოთელი გვალიას გოლს ზედიზედ ორი ბურთით უპასუხა გლინიანოვმა, რის შემდეგ ნ. ტყებუჩავამ შეძლო თანაფარდობის აღდგენა.

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

ხობელებს გამარჯვება მოუტანა ქავთარაძის მიერ გატანილმა ბურთმა.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „ნადიკვარი“ (თელავი) 0:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

**ასკ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:0. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).**

ორივე ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა რამიშვილმა.

**„ივერია“ (ხაშური) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:2. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).**

ამ მატჩში დაწინაურდნენ ჭიათურლები (ოსაძე, ლომსაძე), მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს ქულის ხსნა, ამასთან ორივე ბურთი გაქვითა ლაბაძემ.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მზიური“ (გალი) 1:1. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).**

ანგარიში მე-3 წუთზე 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა სტუდენტმა გვარამაძემ. საპასუხო გოლი 25-ე წუთზე გაიტანა ნეფარიძემ.

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „სპარტაკი“ (თბილისი) 1:2. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).**

**„იბერია“ (ქარელი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).**

**„კოლხეთი“ (ფოთი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).**

**„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „სპარტაკი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. ყიფშიძე (ჭიათურა).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მზიური“ (გალი) 1:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

გალელთა კარში დანიშნული პენალტი კარგად გამოიყენა კვარაცხელიამ, მაგრამ „მზიურმა“ ჯერ გაქვითა გოლი (ნეფარიძე), შემდეგ კი გადამწყვეტი ბურთიც გაიტანა (ხარაბაძე).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „იბერია“ (ქარელი) 5:1. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).**

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხ.“ ფ. | 20 | 13 | 4 | 3 | 39—12 | 30 |
| „მზიური“ | 20 | 12 | 5 | 3 | 32—15 | 29 |
| „მერცხალი“ | 19 | 10 | 7 | 2 | 29—8 | 27 |
| „მეშახტე“ | 17 | 12 | 3 | 2 | 29—7 | 27 |
| „მეტალ.“ რ. | 18 | 11 | 4 | 3 | 28—14 | 26 |
| „ენერგეტ.“ | 22 | 9 | 6 | 7 | 29—26 | 24 |
| „მაღაროელი“ | 17 | 10 | 2 | 5 | 30—22 | 22 |
| „კოლხ.“ ხ. | 21 | 7 | 8 | 6 | 16—20 | 22 |
| „ჩიხურა“ | 19 | 8 | 5 | 6 | 22—14 | 21 |
| „ივერია“ ხ. | 21 | 7 | 7 | 7 | 16—21 | 21 |
| ფიზკ. ინსტ. | 20 | 9 | 3 | 8 | 24—31 | 21 |
| „სპარ.“ თბ. | 20 | 7 | 6 | 7 | 23—21 | 20 |
| ასკ თბ. | 21 | 6 | 8 | 7 | 23—21 | 20 |
| პოლ. ინსტ. | 22 | 9 | 2 | 11 | 33—32 | 20 |
| „ამირანი“ | 20 | 7 | 5 | 8 | 16—25 | 19 |
| „სქური“ | 22 | 7 | 4 | 11 | 30—31 | 18 |
| „ნადიკვარი“ | 20 | 4 | 8 | 8 | 18—26 | 16 |
| „სალხინო“ | 19 | 5 | 6 | 8 | 19—31 | 16 |
| „მეტალ.“ ზ. | 19 | 4 | 5 | 10 | 23—27 | 13 |
| „ეგრისი“ | 21 | 3 | 7 | 11 | 15—27 | 13 |
| „სპარ.“ ცხ. | 19 | 3 | 6 | 10 | 18—25 | 12 |
| „იბერია“ ქ. | 21 | 4 | 3 | 14 | 14—41 | 11 |
| „დურუჯი“ | 20 | 4 | 2 | 14 | 12—34 | 10 |

საქართველოს პირველობის კალენდარში აღნიშნული 2 ივლისის ნაცვლად I ჯგუფის თამაშები გაიმართება შაბათს, 1 ივლისს.

• • •

II ჯგუფის I ზონის გათამაშებიდან მოხსნილია აწყურის „სამცხე“. ვინაიდან ამ გუნდს არა აქვს ნათამაშევი მატჩების 50 პროცენტი, მისი ყველა შედეგი გაუქმებულია.

განვლილ მატჩებში მინდვრიდან გაძევებულ იქნა მაიაკოვსკის „ავტომობილისტის“ მოთამაშე ბ. ორბელაძე, აგრეთვე, დ. ლოცოვი (წალკის „თრიალეთიდან“) და დ. სალუქვაძე (ლაითურის „გიგანტიდან“).

წლევანდელ სეზონში მეორე გაფრთხილება მიიღეს ვ. კურტანიძემ („მეტალურგი“, რუსთავი) და ვ. ქავთარაძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

გაფრთხილებული არიან მ. რაზმაძე („სპარტაკი“, თბილისი) და ა. მებუკე (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

●

### თბილისის სპორტული ბანაკი

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. ასკ-ს სტადიონი. 24 ივნისი. „სპარტაკი“ (თბილისი) — „იბერია“ (ქარელი). დასაწყისი 18 ს.

## ახალი ლიდერი

### რაგბი

**21 ივნისს** კიევში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „ავიატორსა“ და მოსკოვის „სლავას“ შორის. მასპინძლებმა იმარჯვეს 14:3. ახლა „ავიატორს“, ისე, როგორც მოსკოვის „ლოკომოტივს“, 8 თამაშის შემდეგ 13 ქულა მოუგროვდა და ბურთების უკეთესი სხვაობით ჩემპიონატის ლიდერი გახდა.

ჩემპიონატის მონაწილე ათივე კოლექტივს უკვე რვა-რვა შეხვედრა აქვს ჩატარებული. პირველი წრის უკანასკნელი ტური კვირას გაიმართება. მისი შედეგების მიუხედავად „ავიატორს“, მოსკოვისა და თბილისის რკინიგზელებს, „სლავას“ და „ფილის“ უკვე გარანტირებული აქვთ ფინალურ ექვსეულში თამაშის უფლება.

### წყალბურთი

**ბულგარეთის** ქალაქ ვარნაში დაიწყო წყალბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ავსტრალიის, ბულგარეთის, საბერძნეთის, სსრ კავშირის, აშშ-სა და რუმინეთის კოლექტივები მონაწილეობენ. პირველ მატჩში საბჭოთა გუნდმა დაამარცხა ავსტრალიელები ანგარიშით 6:3.

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**


**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი** აცხადებს, რომ 1 ივლისიდან დაიწყება მეცადინეობა ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ინსტიტუტის დღის ან დაუსწრებელ განყოფილებაზე შესვლა.

მსურველებმა 20-დან 30 ივნისამდე უნდა წარმოადგინონ: განცხადება, ატესტატის ასლი, (ვინც წლეულს ამთავრებს საშუალო სკოლას, ცნობა სკოლის დამთავრების შესახებ) და საკლასიფიკაციო ბილეთი რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ სახეობებიდან: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, ნიჩბოსნობა, კრივი, ჭიდაობის ყველა სახეობა, ძალოსნობა, ველოსპორტი, სათხილამურო სპორტი, ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი, მშდ-ის მრავალჭიდი, სროლა (ტყვიის, სასტენდო) მშვილდოსნობა და ჭადრაკი.

სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე იწარმოებს შემდეგ თეორიულ საგნებში: ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), აგრეთვე, ჩატარდება კონსულტაციები საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

კურსებზე სწავლის მსურველებმა უნდა გადაიხადონ დაწესებული საფასური. რაიონებში მცხოვრებნი უზრუნველყოფილი იქნებიან ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 10 საათიდან.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი 22-25-57.

**ინსტიტუტის რექტორატი.**



# კ ო ნ კ უ რ ს ი —
# „საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტო“



**1978 წლის 19 ივლისს მოსკოვში გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური ლატარიის პირველი ტირაჟი.**

თამაშის მრავალრიცხოვანი მონაწილის თხოვნით „სპორტლოტოს“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო აცხადებს კონკურსს საერთაშორისო ოლიმპიური ლატარიის თამაშში გამარჯვებულთათვის. კონკურსის დებულების თანახმად, ვინც გამოიცნობს ახალ ლატარიაში 6 სპორტულ სახეობას, მაქსიმალური ფულადი მოგების გარდა, ჯილდოვდება „ჟიგულის“ მარკის მანქანის ურიგოდ გამოყვანის ტალონით.

შეგახსენებთ, რომ გარდა ფულადი მოგებისა (3-დან 10 000 მანეთამდე), „საერთაშორისო ოლიმპიურ სპორტლოტოში“ შეიძლება მოიგოთ ტურისტული საგზური საზაფხულო XXII ოლიმპიადაზე დასასწრებად.

კონკურსის დებულების თანახმად, „ოლიმპიადა-80“-ის საგზურის მფლობელიც ჯილდოვდება მანქანის ურიგოდ გამოყვანის ტალონით.

„საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს“ პირობებს გაეცნობით ბარათის მეორე მხარეზე.

მიიღეთ მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიურ ლატარიაში!

**საქსპორტლოტო.**



**„ლოკომოტივის“ სტადიონი**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74).

25 ივნისი

**რ ე გ ბ ი**

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (მოსკოვი)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვირისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-53; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-59; მემანქანეები — 93-97-51.